„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

24 დეკემბერი 2025

საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრება ჭაბუკებში
(2009-2010 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

16-18 იანვარი

2026

თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოისტთა შერჩევა ჭაბუკთა ეროვნული ჩემპიონატისთვის.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2009-2010 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები. (2011 წელს დაბადებულები არ დაიშვებიან.)

IV. შეჯიბრების პირობები, დრო, ადგილი, რეგისტრაცია, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 16-18 იანვარს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 15 იანვარი, წასვლის დღე - 19 იანვარი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00* (შესაძლებელია ცვლილება).

რეგისტრაცია

- პირადმა მწვრთნელებმა საკუთარი ძიუდოისტები უნდა დაარეგისტრირონ ელექტრონულად 9 იანვრამდე.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან https://gjf.ge/geo/calendar/georgia სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.
- 12 იანვარს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს „ოქროს ქულამდე“. დამამშვიდებელ წრეში იმოქმედებს „ოქროს ქულის“ წესი.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 8 წონით კატეგორიაში:
- -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ;
- 16 იანვარი -50კგ, -55კგ, -60კგ;
- 17 იანვარი: -66კგ, -73კგ;
- 18 იანვარი: -81კგ, -90კგ, +90კგ.

- PS. რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.
- ფინალური ეტაპისთვის უნდა გამოვლინდეს წონით კატეგორიაში 32 საუკეთესო ძიუდოისტი.

VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი/ფაქსი 0322516466;
საკონტაქტო პირი - ზურაბ უსუფაშვილი 577994407;

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე